

**თამარ ზარანდია
გიორგი მახაროზლიშვილი**

**საქუთრების ცნების ტრანსფორმაცია
თანამედროვე სანივთო და
საქორპორაციო სამართალში**

**თბილისი, 2018
გამომცემლობა „იურისტების საყარო“**



© თამარ ზარანდია, გიორგი მახარობლიშვილი

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-537-7-4

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო დადგა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტის მიღების მწვავე აუცილებლობის წინაშე. იმავდროულად, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა გამოეყენებინა მსოფლიო მონინავე ცივილისტური აზროვნების მიღწევები და ისე შეექმნა საკუთარი სამართალი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განხორციელებული სამოქალაქო სამართლის რეფორმების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს რეფორმის ორი ძირითადი კონკურენტული მოდელი. პირველი მოდელი ეფუძნება არსებული სამოქალაქო სამართლის ადაპტაციას საბაზრო ეკონომიკის საჭიროებების მიმართ. მის ფარგლებში შენარჩუნდა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ის ნორმები, რომლებიც არ ატარებდა იდეოლოგიურ ხასიათს. პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობამ ეს მოდელი აირჩია.¹ აღნიშნულ ქვეყნებში მოდელურ სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით მიღებულ იქნა ახალი სამოქალაქო კოდექსები, რომლებშიც მრავლად დარჩა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მოქმედი ნორმები.² ამდენად, იმ ქვეყნებში, რომლებმაც მითითებული მოდელი მოირგეს, სამოქალაქო სამართლის რეფორმა და მისი განვითარება დაეფუძნა საბჭოთა პერიოდში არსებულ ტრადიციებს.³

საქართველომ სამოქალაქო სამართლის განვითარების განსხვავებული გზა აირჩია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სამოქალაქო კოდექსი ან სსკ) შემუშავებისას, რომლის შექმნაშიც გერმანელ მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით მონაწილეობდნენ ქართული კერძო სამართლის მეცნიერების ავტორიტეტული წარმომადგენლები,⁴ საფუძვლად

1. შეად. *Kurzynsky-Singer E., Zarandia T., Rezeption des deutschen Sachenrechts in Georgien, Transformation durch Rezeption?*, Mohr Siebeck, 2014, 108 და შემდგ.

2. შეად. *Makovsky, A., Einige Einschätzungen der Hilfe bei der Ausarbeitung der Gesetzgebung und des Standes der internationalen Zusammenarbeit*, in: *Boguslawskij M., Knieper R., Wege zu neuem Recht*, 339 ff., Berlin, 1998.

3. შეად. *Kurzynsky-Singer E., Zarandia T., Rezeption des deutschen Sachenrechts in Georgien, Transformation durch Rezeption?*, Mohr Siebeck, 2014, 108 და შემდგ.

4. შეად. *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 1; *კნიპერი*, კოდიფიკაციისა და კონცეფციის მეთოდები გარდამავალი ეკონომიკის

აღებულ იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში BGB). გერმანული მოდელის არჩევა განპირობებული იყო მისი მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტით და იმით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ავტორები ევროპული ტიპის კოდიფიკაციას განიხილავდნენ საქართველოს ისტორიული ტრადიციების შესატყვისად.⁵

საკუთრება თანამედროვე სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი ცენტრალური ინსტიტუტია. სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა საკუთრების ფორმებზე. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“. ამდენად, ამკარად გამოკვეთილია სოციალური ფუნქციით⁶ ზომიერად დატვირთული საკუთრება.

საყურადღებოა ასევე, რომ თანამედროვე რეალობისათვის დამახასითებელია ქონების დემატერიალიზაცია და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდა. სამრეწველო ღირებულებას უფრო მეტად განსაზღვრავს მისი სასაქონლო ნიშნის, პატენტის და სხვა ტექნიკური უნარების და არა შენობა-ნაგებობების ან დანადგარების ხარისხი. სასაქონლო ნიშნების პოპულარობა და ცნობადობა მნიშვნელოვან ღირებულებად ჩამოყალიბდა, მაგალითად, კოკა-კოლას ცნობილი აღნიშვნა მიჩნეულია სანარმოს მთელ ქონებაზე მეტად ღი-

საზოგადოებებში (საქართველოში არსებული მდგომარეობის ჩათვლით). //სამართლის რეფორმა საქართველოში. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 1994 წლის 23-25 მაისი, გამომცემლები: *ჯორჯენაძე ს./კნიპერი რ./ჭანტურია ლ.*, 1994, 176-191; ასევე, შეად. *ჯორჯენაძე ს.*, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994, 142.

5 შეად. *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 92 და შემდგ.

6 საკუთრება, როგორც სოციალური ვალდებულება, შეად. *ზოიძე თ.*, საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი (ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე), სასემინარო ნაშრომი, 2010, 25.

რებულ სიკეთედ.⁷ უკანასკნელ წლებში ყველაზე ძვირადღირებული გასხვისებები IT ინდუსტრიაში ხორციელდება და ხშირად დაკავშირებულია გამოყენების ნებართვასთან და არა, მაგალითად, მიწის ნაკვეთებთან ან ხელოვნების ნიმუშებთან. სამართალი უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების განვითარებას, რომელიც სულ უფრო არამატერიალური ხდება, დღეს სიმდიდრე უკვე დემატერიალიზებულ და ციფრულ საშუალებებშია თავმოყრილი. ამდენად, სახეზე გვაქვს „მუდმივად ცვალებადი ქონება“ და ეს ცვალებადობა დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, ეპოქასა და მისაკუთრების შესაძლებლობაზე.⁸

ტრანსფორმირდა ისიც, რაც მიეკუთვნება საკუთრების უფლების ობიექტებს. ამდენად შევსებადია ქონების ჩამონათვალიც. თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში ქონების ცნებაში მოიაზრება საავტორო უფლება, გამოგონება, პატენტი და ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა სიკეთე. საკუთრების უფლება ექსკლუზიური კუთვნილების გამომხატველია და ამ უფლების თანამედროვე კონცეფცია უფრო დახვეწილი გაგებით განასხვავებს სულიერ არსებებსა და ნივთებს. ამ თვალსაზრისით, საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშანი, გამოგონება, პატენტი, ინტელექტუალური საკუთრების სხვა სიკეთეები – საკუთრების ობიექტებია, მიუხედავად მათი არამატერიალური ხასიათისა და ნივთებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ნივთები ფიზიკურად შეხებადია, „სხეულებრივია“, ხოლო ინტელექტუალურ საკუთრებას „უსხეულო ნივთებსაც“ უწოდებენ. ინტელექტუალური სამართლის ობიექტი ადამიანის ინტელექტისა და გონებრივი შრომის ქმნილებაა.⁹ ვინაიდან, სამართალი ცვალებადი კონსტრუქციაა, გასაკვირი არ არის, რომ სამართლებრივი ცნებები ყოველთვის არ ემთხვევა საგნებისა და მოვლენების საერთო, ზოგად მნიშვნელობებს. სანივთო (ქონებრივი) სამართალი სწორედ მსგავსი ევოლუციური ძალისხმევის ბრწყინვალე მაგალითია, რომელიც მიმართულია იქითკენ,

7. შეად. გუგუშაშვილი გ., გუდვილი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი ადგილი კონკურენტულ ურთიერთობაში, 2013, 59.

8 შეად. ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები, 2016, 15.

9. შეად. ჯორბენაძე ს., ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, 1998, 114.

რომ უფრო მეტად ჩამოაშოროს ქონებას მხოლოდ მატერიალური გაგება. ეს ტენდენცია შესაძლოა შეფასდეს ქონების ცნების დემატერიალიზაცია და ინტელექტუალიზაცია, რაც ამ ცნების გაფართოებას იწვევს.¹⁰

ქონებრივი სიკეთის ტიპების განვითარებას, რომელსაც აღიარებული ღირებულება გააჩნია, თან ახლავს ახალი ქონებრივი სიკეთის გაჩენა: ინფორმაცია, საპ.ური აირების გამოშვების კვოტა, ნანონივთიერებები, ოპტიკური ბოჭკო, საბანკო ბარათის ნომერი... ამგვარი ევოლუციის შედეგად ზოგჯერ კანონმდებლობა რეალობასთან სრულიად არაადაპტირებულია. ამდენად, ქონების კატეგორიაში უნდა მოიაზრებოდეს ის სიკეთეებიც, რომლებიც თავისი თვისებებით და დანიშნულებით ახალ, დღეისათვის უცნობ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ მოდელზე, მონახაზზე, რომელიც უნდა მოერგოს იმ სხვა სიკეთეებს, რომელთა მიმართაც ეს კონცეფცია, შესაძლოა, მომავალში იქნეს გამოყენებული.¹¹

თანამედროვე ევროპული ქვეყნების უმეტესობის საზოგადოებრივი ფორმაცია იმგვარია, რომ კერძო საკუთრება გარანტირებულია, მაგრამ იმავდროულად, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით შესაძლებელია საკუთრების უფლებაში ჩარევა. საკუთრების უფლება საქართველოში სარგებლობს კონსტიტუციური დაცვით. იმავდროულად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ყველა პირს საკუთრების დაცვის უფლებას ანიჭებს. თუმცა, ამავე მუხლის მიხედვით, ეს უფლება შესაძლოა შეიზღუდოს, ვინაიდან, საკუთრების უფლება შეუზღუდავი უფლება არ არის და მისი შეზღუდვის მაგალითები, როგორც ქართულ, ისე, საერთაშორისო პრაქტიკაში იშვიათობას არ წარმოადგენს.¹² ეს შეზღუდვები

10. შეად. *Mathieu M.*, Droit civil, les biens, Sirey, 2013, 10.

11 შეად. ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები, 2016, 15.

12. შეად. *კორკელია კ., ქურდაძე ი.*, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, 217; ჰოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართალში *Книпер Р., Чантурия Л., Шрамм Г., Введение, Основы гражданского права в государствах кавказа и центральной Азии в теории и на практике*, BWV, Berliner Wissenschafts- Verlag, 2008, 39; *Книпер Р., Чантурия Л., Шрамм Н.*, Einführung, Grundlagen

შესაძლოა იყოს საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი. ძალადობის ფაქტები აღიკვეთება სოციალური სიმშვიდის სახელით, მაგრამ სხვა უფრო მშვიდობიანი ფაქტობრივი ურთიერთობის არსებობამ შესაძლოა დაიმსახუროს სხვისი ქონების და უფლების პირდაპირი მიზნის დაცვა.

წინამდებარე ნაშრომი დაიწერა ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც აინტერესებს საკუთრების უფლების ტრანსფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები სანივთო და სამეწარმეო სამართალში და ის ტენდენციები, რაც ამ პროცესში იკვეთება.

თამარ ზარანდია

ასოცირებული პროფესორი

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	1
I. შესავალი.....	1
II. საკუთრების ცნების რეცეფცია თანამედროვე ქართულ სამართალში	4
1. უარი საბჭოთა სამართლის ინსტიტუტებზე.....	4
2. საკუთრების ფორმის შესახებ.....	4
III. საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი	8
1. ზოგადი მიმოხილვა	8
2. საკუთრების უფლების შინაარსი	12
3. საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათი?.....	13
4. საკუთრების ექსკლუზიური ხასიათი?.....	15
ა. შემთხვევის განხილვა – ქონების გამოსახულების უფლება.....	16
ბ. მესაკუთრის მონოპოლია მისი ქონების გამოსახულების ექსპლუატაციაზე და სავტორო უფლება	21
5. საკუთრების მუდმივი ხასიათი?	23
6. საკუთრების უფლების შინაარსის შემადგენელი ელემენტები	24
ა. Usus, ანუ მოხმარების უფლება, მესაკუთრის სარგებლობის უფლებამოსილებები.....	25
ბ. Fructus, ანუ ნაყოფის მიღების უფლება	26
გ. Abusus, ანუ განკარგვის უფლება.....	28
დ. განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვა - გაუსხვისებლობის პირობა.....	29
დ.ა) გაუსხვისებლობის პირობის კანონიერება.....	32
დ.ბ) გაუსხვისებლობის პირობის დარღვევა	34
IV. საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა	35
1) შემთხვევის განხილვა - დირიჟაბლების ანგარი	36
2) შემთხვევის განხილვა – უფლების ბოროტად გამოყენება თუ უფლების დაცვა?	39
V. საკუთრების უფლების სახეები	42
1. საერთო საკუთრება	42
2. მინდობილი საკუთრება.....	44
3. ინტელექტუალური საკუთრება	48

4. პირობადებული საკუთრება	49
VI. საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია და განვითარების თანამედროვე ტენდენციები.....	50
1. საკუთრების მოქმედების სფეროს გაფართოება.....	51
2. მესაკუთრის პრეროგატივების შემცირება.....	51
3. „ვირტუალური საკუთრება“.....	54
VII. საკუთრების ცნება საკორპორაციოსამართლებრივ კონტექსტში	58
1. საკუთრების საკორპორაციო სამართალში ტრანსფორმაციის შინაარსი	59
2. კაპიტალის მოზიდვის მეთოდები.....	62
3. კაპიტალის ფორმირების საშუალებები	66
3.1. კაპიტალის ფორმირების საშუალებათა არსი	66
3.2. კაპიტალის ფორმირების საშუალებათა კლასიფიკაცია	68
4. საკუთრების კომპანიის წილში ტრანსფორმირების არსი და შედეგები	73
4.1 წილის (აქციის) მიღების კორპორაციული სისტემა ..	73
4.2 წილიდან გენერირებული უფლება-მოვალეობები	76
4.2.1 აქციონერის წილის ფლობით უზრუნველყოფილი უფლებები და მათი შინაარსი	78
4.2.1.1. მმართველობითი კლასის უფლებები	78
4.2.1.2. ქონებრივი კლასის უფლებები	82
4.2.1.3 სამართლებრივი დაცვის კლასობრივი უფლება ..	86
4.2.1.3.1. ინფორმაციის მიღების უფლება	86
4.2.1.3.2. სარჩელის უფლება.....	89
4.2.2. აქციონერის წილის ფლობით წარმოშობილი მოვალეობები	91

საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია თანამედროვე საწინააღმდეგო და საკორპორაციო სამართალში

I. შესავალი

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობისა გამო, ისტორიულად განიცდიდა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტურების გავლენებს, რამაც თავისი კვალი დაატყო ქართულ სამართლებრივ აზროვნებასაც. სხვადასხვა დროს საკუთრების ზოგადი ცნების გამოსახატავად გამოიყენებოდა სხვადასხვა ტერმინი: ნასყიდი, მონაგები, ფული, ჩემება.¹³ უძველეს ქართულ ძეგლებში ჩვენ ვხვდებით საკუთრების უფლების აღმნიშვნელ ტერმინს – “საკუთრება“. საკუთრების სუბიექტები ფეოდალურ საქართველოში იყვნენ მეფე, ეკლესია, ფეოდალები (მათ შორის თავადები და აზნაურები), ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები. საძოვარის, სათიბის, შორს მდებარე სახნავი მიწების მესაკუთრედ ზოგ შემთხვევაში გვევლინებოდა სოფლის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ერთეულს და შედგებოდა ერთ სოფელში დასახლებულ გლეხთაგან. ასეთ სასოფლო მიწებს ოჯახები ფლობდნენ სარგებლობის უფლებით, ხოლო მათზე საკუთრების უფლებას სოფლის საზოგადოება ახორციელებდა.¹⁴ მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს, ხელი მიუწვდებოდა სამეფოს მთელ ტერიტორიაზე. მეფე აწესებდა სამეფო გადასახადებს: სამხედრო, სანადირო, საური, მალი და კოდის პური. მეფე თავის ვასალებს მიწით აჯილდოვებდა. განსაკუთრებული იყო საეკლესიო საკუთრების რეჟიმი, რომელიც, პრაქტიკულად, სრული ხელშეუვალობით სარგებლობდა. სამართლის ისტორიკოსთა მტკიცებით, არცერთი ფეოდალური სახის საკუთრება არ სარგებლობდა იმ მოცულობის ხელშეუვალობით, როგორც საეკლესიო საკუთრება.¹⁵ ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფეო-

13 შეად. *ნადარეიშვილი გ.*, საკუთრების ზოგადი ცნების გამოხატველი ტერმინის წარმოშობა ქართულ სამართალში, სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994, 353 და შემდგ.

14 შეად. *ბოსტოლანაშვილი დ.*, მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, 2004, 8-9.

15 შეად. *ჯავახიშვილი ივ.*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. I, 101.

დალური საკუთრების უფლება ძალზედ რთული ინსტიტუტი იყო, რადგან აქ არსებობდა სხვადასხვა სუბიექტების მიხედვით დაყოფილი საკუთრება და მათ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი ახასიათებდა.

დიდი კოდიფიკაციების ეპოქაში, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, საქართველო არ იყო ჩართული საერთო ევროპული განვითარების პროცესში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პირნიმნდად იქნა გადმოღებული რუსეთის სამოქალაქო კოდექსი.¹⁶ მართალია, საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა გერმანული სამართლის გავლენებით ჩამოყალიბდა, მაგრამ კერძო სამართლებრივი საწყისები მასში ნაკლებად იყო. საბჭოთა სახელმწიფო საერთოდ უარყოფდა კერძო საკუთრებას. ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის მანიფესტში პროლეტარიატის უმნიშვნელოვანეს ამოცანად კერძო საკუთრების სრული გაუქმება გამოცხადდა, ეს განსაკუთრებით ეხებოდა მიწაზე კერძო საკუთრებას. 1917 წლის 26 ოქტომბრის დეკრეტის საფუძველზე მესაკუთრეებს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ჩამოერთვათ მიწები.¹⁷ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება საკუთრებას განიხილავდა საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლისა და ექსპლუატაციის მიზეზად. ამდენად, კერძო საკუთრების გაუქმებას საყოველთაო კეთილდღეობა უნდა მოჰყოლოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა ხანაში საქართველო განიხილებოდა ისეთ ქვეყნად, სადაც მოჭარბებული იყო კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, რაც მიუღებელი იყო სოციალისტური სინამდვილისათვის. მაშინ, როცა ადამიანებს ბაზარზე თავისუფლად არ შეეძლოთ გაეყიდათ უმნიშვნელო საგნებიც კი, საქართველოში ლაზიშვილები მალულად კერძო სანარმოებს ქმნიდნენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტები კერძომესაკუთრული იდეოლოგიის საწინააღმდეგო დადგენილებებს იღებდნენ და აღსანიშნავია, რომ ეს დადგენილებები სწორედ საქართველოს მაგალითზე მიიღებოდა.¹⁸

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო დადგა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების

16 შეად. *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 88.

17 შეად. *იზორია ლ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, 144.

18 შეად. *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 100.

მომნესრიგებელი აქტის მიღების მწვავე აუცილებლობის წინაშე. იმავდროულად, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა გამოეყენებინა მსოფლიო მოწინავე ცივილისტური აზროვნების მიღწევები და ისე შეექმნა საკუთარი სამართალი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცივილისტი მიიჩნევდა ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსს კონტინენტური ევროპის სისტემაში კოდიფიკაციის საუკეთესო ნიმუშად, საქართველოსთვის ყველაზე მისაღები გერმანული BGB აღმოჩნდა, რაც გერმანულ სამართლებრივ დოქტრინასთან ისტორიულმა ურთიერთობებმა და გერმანული სამართლის მეცნიერების მაღალმა ავტორიტეტმა განაპირობეს.¹⁹

საკუთრება თანამედროვე სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი ცენტრალური ინსტიტუტია. სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა საკუთრების ფორმებზე. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო შეზოგვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“. ამდენად, ამკარად გამოკვეთილია სოციალური ფუნქციით²⁰ ზომიერად დაცვირთული საკუთრება.

19 შეად. *Zoidze B., Kandelhard R.,* Geschichtliche Grundlagen der Zivilrechtsreform in Georgien - "Recht in Ost und West", Heft 2. Februar 1997, 41-46.

20 საკუთრება, როგორც სოციალური ვალდებულება, შეად. *ზოიძე თ.*, საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი (ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე), სასემინარო ნაშრომი, 2010, 25.

II. საკუთრების ცნების რეცეფცია თანამედროვე ქართულ სამართალში

1. უარი საბჭოთა სამართლის ინსტიტუტებზე

ქართულ კერძო სამართალში გერმანული სანივთო სამართლის რეცეფციის შედეგად უამრავი ინსტიტუტი, რომელიც ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნის სამართალს საბჭოთა წარსულიდან გადმოჰყვა, ქართულ სამართალში აღარ აისახა. პირველ რიგში, ეს შეეხება სამეურნეო გამგებლობისა და ოპერატიული მმართველობის უფლებებს. იმავდროულად, ქართულმა სამოქალაქო სამართალმა უარი თქვა საკუთრების სხვადასხვა ფორმებად დაყოფაზე, რაც ცალკე განხილვას იმსახურებს, რადგან აღნიშნულმა, პრაქტიკულად, გააუქმა სახელმწიფოს ზოგიერთი პრივილეგია სამოქალაქო ბრუნვაში.²¹

2. საკუთრების ფორმის შესახებ

საკუთრების ფორმებად დაყოფის საკანონმდებლო წყარო იყო საბჭოთა კავშირის 1936 წლის და 1977 წლების კონსტიტუციებში არსებული დებულებები. მათი ანარეკლი იყო საკავშირო რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსებში არსებული საკუთრების ფორმებად დაყოფა. საბჭოთა სახელმწიფო სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ორგანიზაციებს „უბოძებდა“ საკუთრების უფლებას, ასეთი იყო, მაგალითად, პროფკავშირი, რომელსაც 1977 წლის კონსტიტუციით მიენიჭა ასეთი შესაძლებლობა.

ამდენად, სოციალისტური საკუთრება საბჭოთა სამართალში წარმოდგენილი იყო სამი ძირითადი ფორმით: სახელმწიფო (სახალხო), კოლექტიურ-კოოპერატიული და პროფკავშირულ-საზოგადოებრივი საკუთრების ფორმებით და ეს სამი ფორმა სარგებლობდა პრიორიტეტით პირად საკუთრებასთან მიმართებით. იგი ითვლებოდა სოციალისტური საკუთრებიდან ნაწარმოებ საკუთრებად, რომელსაც უნდა ეარსება მხოლოდ „კომუნიზმის

21 შეად. *Kurzynsky-Singer E., Zarandia T., Rezeption des deutschen Sachenrechts in Georgien*, Mohr Siebeck, 2014, 109 და შემდგ.